



ბათუმში გამართულ ნამოხვანჭესის მონინააღმდეგეთა სოლიდარობის აქციაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული აქტივისტი სასამართლომ გაათავისუფლა

2021 წლის 24 აპრილს, ქალაქ ბათუმში ნამოხვანჭესის მონინააღმდეგეთა აქციაზე პროტესტისგამოხატვის დროს, პოლიციამ ადმინისტრაციული წესით ალბერტ არაქელაძე დააკავა. მის მიმართულებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის მუხლით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ბათუმის საქალაქო სასამართლომ ალბერტ არაქელოვის საქმე დღეს განიხილა და დაადგინა, რომსამართალდარღვევას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, სასამართლომ შეწყვიტა საქმის წარმოება და დაკავებული აქტივისტი გაათავისუფლა.

ალბერტ არაქელოვის ინტერესებს სასამართლოში საია იცავდა.